

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №7

ქ. თბილისი

01.03.2012

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები:

ანა კლდიაშვილი - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიის, რესტავრაციისა და თეორიის ფაკულტეტის სრული პროფესორი (სხდომის მდივანი);

ნინო ძოწენიძე - საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის აღმასრულებელი საბჭოს წევრი;

რუსუდან ტყეშელაშვილი - საქართველოს განმანათლებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;

ლალი ლოღელიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამშენებლო ფაკულტეტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი;

დავით კახნიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი (სხდომის თავმჯდომარე);

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

პეტრე წურწმია - დირექტორის პირველი მოადგილე;

ნანა ჭილაძე ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;

რევაზ ხოფერია - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსის მოადგილე;

ნინო ფურცხვანიძე - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ნინო ბეგიაშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი.

ავტორიზაციის მადიებელი დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. ბელა გოცირიძე - შპს - მზეკაბანის დირექტორი;

2. თამარ ხაბულაშვილი - შპს თბილისის №1 სამედიცინო სასწავლებლის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი;

3. რუსუდან კუტალაძე - შპს თბილისის №1 სამედიცინო სასწავლებლის დირექტორის მოადგილე;

ე. კახიაშვილი

4. ლელა დემეტრაშვილი - შპს - ჯავახეთის პროფესიული კოლეჯის წარმომადგენელი;
5. თამარ ვაჭარაძე - შპს - ჯავახეთის პროფესიული კოლეჯის წარმომადგენელი;
6. ნათია ნოზაძე - შპს - არსის დირექტორი;
7. ციციწო ნემსიწვერიძე - შპს - სიოს დირექტორი;
8. სალომე სორდია - შპს - სიოს კოლეჯის დირექტორი;
9. თამარ მაისურაძე - შპს - ქართულ ინგლისური სკოლა ბრიტანიკას დირექტორი;
10. მამუკა თედიაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლის დირექტორი;
11. მეირ აშერი კოზლოვსკი - ა(ა)იპ - „ორ ავნერ და ჰანას“ დირექტორი;
12. მარინა ბასილაშვილი - ა(ა)იპ - „ორ ავნერ და ჰანას“ დირექტორის მოადგილე;
13. ვერა ყურულაშვილი - შპს - დეას დირექტორი;
14. ია გუგუნავა - შპს - ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის თბილისის იურიდიულ-ეკონომიკური ინსტიტუტის დირექტორი;
15. ლია სოლოდაშვილი - შპს - ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის თბილისის იურიდიულ-ეკონომიკური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე;
16. გულჩინა ჭიქაძე - შპს - საუნჯეს დირექტორი;
17. ფერიცა მირცხულავა - შპს - ჩირაღდნის დირექტორი;
18. თამარ აბულაშვილი - შპს - ილია 2-ს დირექტორი;
19. ილია შატიაშვილი - შპს - ილია 2-ს დამფუძნებელი;
20. სერგო კასრაძე - შპს - რუსთველის დირექტორი;
21. ზაირა კიკნაველიძე - შპს - რუსთველის დამფუძნებელი;
22. ილუმენი (ხათუნა) გამყრელიძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის განათლების მენეჯერი;
23. ირმა გაბისონია - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პრორექტორი;

ავტორიზაციის ექსპერტები:

- ნონა ზუმბაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
- თეა შაყულაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
- ლიანა ჩარკვიანი - ავტორიზაციის ექსპერტი;
- მაია ხურცილავა - ავტორიზაციის ექსპერტი;
- თეა ნადირაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
- ნინო ფეტვიაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
- კახა ჯღენტი - ავტორიზაციის ექსპერტი;
- ნოდარ ანგურიძე - ავტორიზაციის ექსპერტი;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ სხდომის თავმჯდომარედ აირჩია დავით კახნიაშვილი.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19:50 სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს - მზეკაბანის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
2. შპს თბილისის №1 სამედიცინო სასწავლებლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - ჯავახეთის პროფესიული კოლეჯი ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს - არსის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - სიოს ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს - ქართულ-ინგლისური სკოლა ბრიტანიკის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. ა(ა)იპ - „ორ ავნერ და ჰანას“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. შპს - დეას ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. შპს - ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის თბილისის იურიდიულ-ეკონომიკური ინსტიტუტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
11. შპს - საუნჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
12. შპს - ჩირაღდნის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
13. შპს - ილია 2-ს ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
14. შპს - რუსთველის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
15. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
16. შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ. რუსთავის რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა ნანა ჭილაძემ საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა დღის წესრიგიდან ამოეღოთ შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ. რუსთავის რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციის განხილვის საკითხი, ცენტრში წარმოდგენილ იქნა დაწესებულების შუამდგომლობა, რომლითაც ის ითხოვდა საკითხის განხილვის გადადებას, რადგანაც ვერ მოხერხდა დროულად ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო შუამდგომლობა და კენჭისყრაზე დააყენა მისი დაკმაყოფილების საკითხი, რასაც საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის ახალი წესრიგი:

1. შპს - მზეკაბანის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
2. შპს თბილისის №1 სამედიცინო სასწავლებლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - ჯავახეთის პროფესიული კოლეჯი ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს - არსის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - სიოს ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს - ქართულ ინგლისური სკოლა ბრიტანიკის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. ა(ა)იპ - „ორ ავენერ და ჰანას“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. შპს - დეას ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. შპს - ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის თბილისის იურიდიულ-ეკონომიკური ინსტიტუტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
11. შპს - საუნჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
12. შპს - ჩირაღდნის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
13. შპს - ილია 2-ს ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
14. შპს - რუსთველის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
15. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა დღის წესრიგი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის საფუძველზე, სხდომის თავმჯდომარემ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მდივნის არყოფნის გამო, სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დააკისრა ანა კლდიაშვილს.

1. შპს - მზეკაბანის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ ფაქტობრივ გარემოებებზე.

საგანმანათლებლო პროგრამები:

სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სამივე საფეხურზე და შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.

ფართი:

შპს “მზეკაბანი“ ქ. რუსთავეში, ჭავჭავაძის ქ.№15–ში ქირავნობის ხელშეკრულებით ფლობს 700 კვ.მ. ფართს, რომელიც აღჭურვილია სასწავლო პროცესის შესაბამისი ინვენტარით (ორადგილიანი მერხები –142 ცალი, ინდივიდუალური მერხები 40 ცალი, დაფა 17 ცალი).

კომპიუტერები:

სკოლას ამჟამად აქვს 8 ინტერნეტ-ქსელში ჩართული კომპიუტერი და 2 პორტატული კომპიუტერი. კომპიუტერების ფლობა დასტურდება ნასყიდობისა და ჩუქების ხელშეკრულებებით და სასაქონლო ზედნადებებით.

ბიბლიოთეკა:

ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი საინვენტარო წიგნის მიხედვით შეადგენს 3058 ერთეულს, აქედან სახელმძღვანელოების რაოდენობაა 415. წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო პრინციპით.

ვებ-გვერდი:

სკოლის ვებ-გვერდია <http://mzekabani.ge> სადაც განთავსებულია: სკოლის ისტორია, მისია, შინაგანაწესი, პედაგოგების სია, დაგეგმილი ღონისძიებები და სხვა.

აკადემიური პერსონალი:

სკოლაში სულ არის 44 თანამშრომელი. აქედან მასწავლებელთა რაოდენობა არის 32 (1 პედაგოგი სერტიფიცირებულია). მასწავლებელთა კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოდგენა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 200-ით განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ სკოლა, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ

რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლას თავისი მატერიალური რესურსით, კერძოდ, მერხების რაოდენობის გათვალისწინებით, შეუძლია 182 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს - მზეკაბანის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - მზეკაბანისთვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 182-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის ,, ზ ქვეპუნქტის, 33 მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - მზეკაბანს მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 182-ით.

2. შპს - თბილისის №1 სამედიცინო სასწავლებლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 დაწესებულება განთავსებულია სამსართულიანი შენობის I და III სართულებზე. აუდიტორიები და სასწავლო ლაბორატორიები აღჭურვილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო ინვენტარით, კერძოდ - მერხებით, სკამებით, დაფებით პლაკატებით, კომპიუტერებითა და სხვა თვალსაჩინოებებით. აღნიშნული ინვენტარი საჭიროებს განახლებას. მაგალითად: თვალსაჩინოებების დიდი ნაწილი არის რუსულენოვანი, მაშინ როდესაც რუსული ენა პროგრამით გათვალისწინებული არ არის.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა შპს - თბილისის №1 სამედიცინო სასწავლებლის დირექტორის მიერ გაცემული უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეტაპობრივად მიმდინარეობს შპს - თბილისის №1 სამედიცინო სასწავლებელში არსებული თვალსაჩინოებების ქართულ ენაზე გადმოთარგმნა.

ავტორიზაციის საბჭოს წევრის ლალი ლოღელიანის მოსაზრებით, თუ კი ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში სხვა ხარვეზები არ იყო დაფიქსირებული, მაშინ აღნიშნული შენიშვნა იყო ადვილად გამოსწორებადი და არაარსებითი.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რამდენი პროფესიული სტუდენტი სწავლობდა დაწესებულებაში. პროფესიული კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შპს - თბილისის №1 სამედიცინო სასწავლებელში სწავლობდა 464 პროფესიული სტუდენტი.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის 650-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭილაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი არ დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 464 პროფესიული სტუდენტისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის №1 სამედიცინო სასწავლებლის ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 464-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - თბილისის №1 სამედიცინო სასწავლებელს (საიდენტიფიკაციო კოდი: 202056764) წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 464-ით.

3. შპს - ჯავახეთის პროფესიული კოლეჯი ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა შენობის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში კოლეჯის სახელზე. ვიზიტის შემდგომ, 2012 წლის 27 თებერვალს დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილ იქნა №03-1611 კორესპონდენცია, რომელსაც თან ახლავს საჯარო რეესტრის ამონაწერი, საიდანაც დასტურდება რომ შპს - ჯავახეთის პროფესიულ კოლეჯის სარგებლობაშია 455 კვ.მ. ფართის მქონე მიწის ნაკვეთი.

საბჭოს წევრმა, ლალი ლოღელიანმა, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, სად მდებარეობდა კოლეჯი. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კოლეჯი მდებარეობს ახალქალაქში.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შპს - ჯავახეთის პროფესიული კოლეჯი ახლა იხსნება და მასში სწავლის დაწყების მსურველი ბევრია. წარმომადგენელმა მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის 140-ით განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის პროფესიულ სტუდენტთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა, პეტრე წურწუმიამ, დააზუსტა დაწესებულების სარგებლობაში არსებული მატერიალური რესურსი და მერხების რაოდენობის გათვალისწინებით, დაადასტურა, რომ შპს - ჯავახეთის პროფესიულ კოლეჯს შეეძლო 140 პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა შპს - ჯავახეთის პროფესიული კოლეჯის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ჯავახეთის პროფესიული კოლეჯის ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 140-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ჯავახეთის პროფესიულ კოლეჯს (საიდენტიფიკაციო კოდი: 423351456) წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (პროფესიული კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 140-ით.

4. შპს - არსის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საბანკო მომსახურება თა ოფიცრის და მთარგმნელი-რეფერენტის მე-5 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული კვალიფიკაციები - „მთარგმნელი“ და „საბანკო მომსახურებათა ოფიცერი“ არ არის წარმოდგენილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში. აღნიშნული პროგრამები შეესაბამება დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროფესიული სტანდარტების პროექტებს.

1.2 საწარმოო პრაქტიკის სილაბუსებში არ იყო მითითებული პრაქტიკის ობიექტები, სადაც პროფესიული სტუდენტები გაივლიას სასწავლო კურსებით გათვალისწინებულ პრაქტიკებს.

1.3 პროგრამებსა და სილაბუსებში კრედიტებისა და საათების წარმოდგენის ფორმა და ჩაწერის წესი პროფესიული სტუდენტებისთვის ძნელად გასაგებია და არაერთმნიშვნელოვან აღქმას იწვევს.

1.4 ფარმაცევტის თანაშემწისა და საბანკო მომსახურებათა ოფიცრის მე-5 საფეხურის პროფესიული პროგრამების ინგლისური ენის სილაბუსები იდენტურია. მოცემული სილაბუსები არ ითვალისწინებენ კონკრეტული პროფესიის სპეციფიკას. აღნიშნული კი არ მისცემს საშუალებას პროფესიულ სტუდენტს მიიღოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-3 მუხლის მე -7 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა - „კომუნიკაციის უნარი: უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა“. შესაბამისად, პროგამით ვერ მიიღწევა მოცემული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტით დადგენილი შედეგი.

1.5 დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში არ არის გათვალისწინებული საინფორმაციო ტექნოლოგიების შესწავლა, რის გამოც პროფესიული სტუდენტი ვერ გამოიმუშავებს შესაბამისი პროფესიული სტანდარტითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული კვალიფიკაციათა ჩარჩოს“ მე-3 მუხ ლით გათვალისწინებულ კომუნიკაციის უნარს ინფორმაციული ტექნოლოგიების ნაწილში. კერძოდ, პროფესიულ სტუდენტს არ შეეძლება თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება.

1.6 დაწესებულების მიერ შემუშავებული ფარმაცევტის თანაშემწის მე-5 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი კვალიფიკაცია - „მე-5 საფეხურის ფარმაცევტის თანაშემწე“. აღნიშნული არ შეესაბამება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტით მისანიჭებელ კვალიფიკაციას - „ფარმაცევტის თანაშემწის მე-5 საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია“.

1.7 ფარმაცევტის თანაშემწის მე-5 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა 180 კრედიტს მოიცავს და 3 წელზეა გათვლილი, რაც სამჯერ აღემატება შესაბამისი პროფესიული სტანდარტით რეკომენდირებულ მოცულობას (60 კრედიტი). ცალკეულ საგნებზე განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა ბევრად აღემატება ანალოგიური სახის პროგრამებით დადგენილ რაოდენობას. მაგალითად, საგანზე „წამალთა ტექნოლოგია“ გათვალისწინებულია 30 კრედიტი.

1.8 მთარგმნელ-რეფერენტისა და საბანკო მომსახურებათა ოფიცრის თანაშემწის მე-5 საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამათა მოცულობა ასევე არის 180 კრედიტი და 3 წელზეა გათვლილი.

1.9 დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი“. ამ წესის მიხედვით, პროფესიული პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტები ისარგებლებენ მობილობის უფლებით იმ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომელთანაც მკვ - არსი გააფორმებს მემორანდუმებს. დაწესებულებას ასეთი მემორანდუმები გაფორმებული არა აქვს.

1.10 დაწესებულებას შემუშავებული არა აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც გამოიყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 დაწესებულებას არა აქვს დამატებითი ელექტროენერჯის მიწოდების წყარო. აუდიტორიუმში განთავსებულია თითო ელექტრო გამათბობელი, რომელიც შესაბამისი ტემპერატურის მისაღწევად არ არის საკმარისი.

2.2 დაწესებულების საინფორმაციო ცენტრში განთავსებულია 4 კომპიუტერი და 1 ლეპტოპი. ბიბლიოთეკასა და ადმინისტრაციის ოთახში განთავსებულია თითო-თითო კომპიუტერი. კომპიუტერების აღნიშნული რაოდენობა ვერ უზრუნველყოფს, როგორც სასწავლო პროცესის წარმართვას, ასევე ადმინისტრაციული საქმიანობის განხორციელებას.

2.3 წესრიგის დაცვის მიზნით დაწესებულებას დაცვის თანამშრომელი არა ჰყავს.

2.4 დაწესებულების მიერ შემუშავებული ერთწლიანი და ექვსწლიანი სამოქმედო გეგმები არის ზოგადი ხასიათის. მათში მოცემული არ არის კონკრეტული მიზნების მიღწევის გზები და აქტივობები.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

3.1 ლათინური ენის მასწავლებელს, რომელიც აღნიშნულ კურსს უძღვება ჯანდაცვის მიმართულებაზე, აქვს ინგლისური და ესპანური ენის პედაგოგის კვალიფიკაცია. მასწავლებლის პირადი საქმიდან ვერ დასტურდება მისი კომპეტენტურობა და პროფესიული გამოცდილების ქონა აღნიშნულ დისციპლინაში.

3.2 ფიზიოლოგიის სასწავლო კურსს ასწავლის ზოოინჟინერიის კვალიფიკაციის მქონე პედაგოგი, რომელიც ამავე დროს არის ჯანდაცვის მიმართულების დეკანი. მასწავლებლის პირადი საქმიდან ვერ დასტურდება მისი კომპეტენტურობა და პროფესიული გამოცდილების ქონა აღნიშნულ დისციპლინაში.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, იზიარებდა თუ არა დაწესებულების წარმომადგენელი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირებულ შენიშვნებს. შპს - არსის დირექტორმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებს იზიარებდა.

1.1 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების დირექტორმა განმარტა, რომ „მთარგმნელისა“ და „საბანკო მომსახურებათა ოფიცრის“ პროგრამების შემუშავება მოხდა შპს - არსის მიერ და პროექტები გადმოიგზავნა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. დავით კახიანიშვილმა დაზუსტების მიზნით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, მოცემული იყო თუ არა აღნიშნული პროგრამებით გათვალისწინებული კვალიფიკაციები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში. შპს - არსის წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ საკვალიფიკაციო ჩარჩოში ჯერჯერობით მსგავსი კვალიფიკაციები არ იყო.

1.4 შენიშვნასთან დაკავშირებით, შპს - არსის დირექტორმა აღნიშნა, რომ პროფესიული სტუდენტებისათვის უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ესწავლებინათ არა პროფესიული, არამედ - ზოგადი ინგლისური. შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტებს ინგლისურ ენაში ექნებოდათ ზოგადი ლექსიკური მარაგი. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ პროფესიულ პროგრამებში მოდულის სახით ჰქონდათ ინტეგრირებული ინგლისური ენის სწავლება. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დასრულების შემდგომ მოცემული ხარვეზი გამოსწორებული იყო.

ავტორიზაციის საბჭოს წევრი ლალი ლოდელიანი დაინტერესდა თუ რით იყო განპირობებული, რომ დაწესებულების მიერ შემუშავებული პროგრამები იყო 180 კრედიტიანი, მაშინ როდესაც პროფესიული სტანდარტით მსგავსი პროგრამებისთვის გათვალისწინებული იყო 60 კრედიტი. შპს - არსის წარმომადგენელმა განმარტა, რომ კრედიტების რაოდენობის ზრდა მოხდა პოტენციურ დამსაქმებლებთან კონსულტაციების შედეგად. ლალი ლოდელიანის მოსაზრებით, კრედიტების რაოდენობის 3-ჯერ გაზრდა პროფესიული სტუდენტებისათვის იქნებოდა არარენტაბელური. მაშინ როდესაც, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი ითვალისწინებდა იგივე ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მიღწევას 60 კრედიტის ფარგლებში, მიზანშეუწონელი იყო ანალოგიური შედეგები მიეღწევა 180 კრედიტის ფარგლებში. ავტორიზაციის საბჭოს წევრმა ლალი ლოდელიანმა განმარტა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტები ორიენტირებულნი იყვნენ სწორედ შრომის ბაზარზე და მაქსიმალურად ითვალისწინებდნენ, როგორც პროფესიულ სტუდენტთა, ისე დამსაქმებელთა ინტერესებს.

1.10 შენიშვნასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ შპს - არსს შემუშავებული ჰქონდა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემის პროექტი, რომელსაც ოფიციალურად დაამტკიცებდნენ ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში. დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით განმარტა, რომ 2012 წლის 23 თებერვლისთვის დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა უკვე დამტკიცებული ჰქონდა.

შპს - არსის დირექტორმა 2.1 შენიშვნასთან დაკავშირებით განმარტა, რომ დაწესებულებაში ჩვეულ რეჟიმში იყო ელექტროენერგია და სტატუსის მამიებელი ელექტროენერგიის დამატებით წყაროს არ საჭიროებდა. დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ შენობაში, რომელშიც მდებარეობდა სასწავლებელი, მიმდინარეობდა გაზიფიკაციის პროცესი. შესაბამისად, უახლოეს მომავალში აუდიტორიების

გათბობა სრულად იქნებოდა შესაძლებელი. შპს - არსის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება გასათბობად ასევე იყენებდა ელექტრო ღუმელებს.

3.1 შენიშვნაზე დაწესებულების დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ნინო გურგენიძეს ჰქონდა ინგლისური და ესპანური ენის პედაგოგის კვალიფიკაცია. აღნიშნულ პედაგოგს სწავლის პერიოდში გავლილი ჰქონდა ლათინური ენის საგანი, რაც დასტურდებოდა ნინო გურგენიძეზე გაცემული დიპლომის დანართით. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრების მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში ვერ დასტურდებოდა, რომ მასწავლებელს ჰქონდა შესაბამისი კვალიფიკაცია.

შპს - არსის დირექტორმა 3.2 შენიშვნასთან დაკავშირებით ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ფიზიოლოგიის სასწავლო კურს კითხულობდა ქეთევან ხარაბაძე, რომელიც ზოოინჟინერიის დარგში იყო მეცნიერებათა კანდიდატი. დაწესებულების წარმომადგენლის მოსაზრებით, ვინაიდან ქეთევან ხარაბაძე ცხოველების ფიზიოლოგიურ პროცესებზე ახორციელებდა დაკვირვებას, იგი შეძლებდა ასევე ესწავლებინა ზოგადი ფიზიოლოგია. დავით კახნიაშვილი არ დაეთანხმა აღნიშნულ მოსაზრებას, ვინაიდან ცხოველებისა და ადამიანის ფიზიოლოგია რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან.

სხდომის თავმჯდომარის, დავით კახნიაშვილის მოსაზრებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნები იყო არსებითი ხასიათის. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს ყველა წევრმა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - არსის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - არსს (საიდენტიფიკაციო კოდი: 216427999) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

5. შპს - სიოს ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 შპს - „სიოს“ დადებული აქვს საიჯარო ხელშეკრულება შპს - „მალთან“ 2011 წლის 5 ოქტომბერს, რომლის თანახმად მეიჯარე დროებით სარგებლობაში გადასცემს მოიჯარეს ქ.ქუთაისში გ.ტაბიძის N72/დ მდებარე არასაცხოვრებელ ფართს 479.25 კვ.მ. ოდენობით.

ექსპერტთა ვიზიტის დროს დოკუმენტების გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ შპს- სიოს ქვეიჯარით აქვს გაცემული დროებით სარგებლობაში შპს „ატრიუმისათვის“ არასაცხოვრებელი ფართის 15.13 კვ.მ. მეიჯარე დროებით სარგებლობაში იღებს მოიჯარის კუთვნილ სპორტულ-გამაჯანსაღებელ დანადგარებს, რომლებიც განათავსეს მეიჯარის კუთვნილ ფართში 14532 კვ.მ და კოლეჯს აძლევს უფლებას გამოიყენოს ეს დანადგარები სასწავლო პროცესის დროს, ხოლო მეიჯარე სანაცვლოდ რთავს ნებას თავისი ფართი (უსასყიდლოდ) გამოიყენოს სასწავლო პროცესის დამთავრების შემდეგ.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, იყო თუ არა დარეგისტრირებული იჯარის ხელშეკრულება საჯარო რეესტრში.

ექსპერტის განმარტებით, იჯარის ხელშეკრულება 479.25 კვ.მ. ფართზე დარეგისტრირებული იყო საჯარო რეესტრში. ნინო ფეტვიამვილის განცხადებით, 15.13 კვ.მ. ფართი გაცემული იყო ქვეიჯარის საფუძველზე და აგრეთვე, იყო სპორტული დარბაზი, სადაც განთავსებული იყო სპორტული ინვენტარი, რომლითაც 6 საათის შემდეგ სარგებლობდა სხვა დაწესებულება.

სხდომის თავმჯდომარემ დააზუსტა შედიოდა თუ არა 145.32 კვ.მ-ს სპორტული დარბაზი შპს - სიოს მართლობით მფლობელობაში.

ექსპერტის, ნინო ფეტვიამვილის, განცხადებით, ზემოაღნიშნულ ფართს დაწესებულება მართლობით ფლობდა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სპორტულ დარბაზში განთავსებული იყო შპს - ატრიუმის ინვენტარი, რომელსაც შპს - სიოც იყენებდა. მისი განმარტებით, რადგან დაწესებულება ერთ-ერთ პროფესიულ პროგრამად აპირებდა განეხორციელებინა მასაჟისტის პროფესიული პროგრამა, აღნიშნული ინვენტარი, მათი აზრით, აუცილებლობას წარმოადგენდა.

სხდომის თავმჯდომარის განცხადებით, აღნიშნული ფართის გარეშე დაწესებულებას უშუალოდ სასწავლო მიზნებისათვის რჩება 234 კვ.მ. თუმცა, ამ შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა ოდენობა 100-ზე ნაკლები უნდა განისაზღვროს.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ირიცხებოდა თუ არა საზოგადოებრივ კოლეჯში პროფესიული სტუდენტები.

შპს - სიოს წარმომადგენლის განცხადებით, დაწესებულებას პროფესიული სტუდენტები არ ჰყავდა, რადგან დაწესებულება ჯერ არ ფუნქციონირებდა.

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე 20:33 საათზე გამოცხადდა შესვენება.

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა განახლდა 20:50 საათზე.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოდგენა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის 150-ით განსაზღვრა და დასძინა, რომ დაწესებულება ორ ცვლაში აპირებს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ სკოლა, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას.

ცენტრის დირექტორის პირველმა მოადგილემ, პეტრე წურწუმიამ, განმარტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერით დასტურდება ფართის ფლობა, წარმოუდგენელია სასწავლო პროცესის წარმართვა ორ ცვლაში, მაშინ, როდესაც, 6 საათის შემდგომ სხვა დაწესებულება იწყებს იმავე ფართით სარგებლობას. მისი განმარტებით, აღნიშნულ 145 . 3 კვ. მ ფართში, გახსნილია სპორტული დარბაზი და დაწესებულება მას გარკვეულწილად იყენებს, თუმცა საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსის მოთხოვნების გათვალისწინებით, ორ ცვლაში სწავლების განხორციელება შეუძლებელია. ამდენად, აღნიშნულისა და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, დაწესებულებას შეუძლია 101 პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს - სიოს შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სიოს ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 101-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - სიოს (საიდენტიფიკაციო კოდი: 212797945) 5 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 101-ით.

6. შპს - ქართულ-ინგლისური სკოლა ბრიტანიკას ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 სკოლას აქვს დამატებითი საათები ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ფარგლებში, რომელიც აჭარბებს 25 %-იან ცვლილებებს. დაწესებულებას აქვს გახანგრძლივებული სწავლება.

1.2 დაწესებულებას შემუშავებული აქვს სამკომპონენტოანი შეფასების სისტემა. შეფასება ხდება ქულებით, მაქსიმალური ქულა არის 100. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სასკოლო ჟურნალებში დაფიქსირებული იყო 100 ქულიანი შეფასების სიტემა, რაც არ შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. სკოლაში 100 ქულიანი სისტემით დაწერილი შეფასება გადაჰყავთ 10 ქულიან სისტემაზე ყოველი სემესტრის ბოლოს, რაც წარმოდგენილი იყო ჟურნალთან ერთად თანდართული დოკუმენტის სახით.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 სკოლას აქვს შპს - „ჯეო დეკორისაგან“ შეძენილი ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგია-ანატომიის სასკოლო ლაბორატორია. ლაბორატორია განთავსებულია კაბინეტში, რომელსაც არ აქვს გამწოვი. აღნიშნულ ოთახს აქვს დიდი ზომის ფანჯრები.

2.2 სსსმ მოსწავლისთვის დაწესებულებას ადაპტირებული სველი წერტილი არა აქვს.

2.3 სკოლას დამონტაჟებული ჰქონდა 2 ვიდეოთვალი. 1 კამერა - მეორე სართულზე, მე-2 კი - მესამე სართულზე. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ დადო ხელშეკრულება შპს - „ჯესკო ჯგუფთან“ და დაიწყო გარეპერიმეტრისა და პირველ სართულზე შიდაპერიმეტრის ვიდეო კამერების დამონტაჟება.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

3.1 ცეკვის მასწავლებელს (ირმა მესხი) დამთავრებული აქვს ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯის ერთ წლიანი საგანმანათლებლო პროგრამა, სხვა უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი წარმოდგენილი არ იყო.

3.2 ინგლისური ენის მასწავლებელს (სოფიო ჯადუგიშვილი) წარმოდგენილი არ ჰქონდა განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი. პედაგოგთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მან 2011 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ინგლისური ფილოლოგიის სპეციალობით.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

1.1 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შპს - ქართულ-ინგლისურ სკოლა ბრიტანიკაში ისწავლებოდა 3 უცხო ენა, მათ შორის ინგლისურ ენას კვირაში ეთმობოდა 7 საათი. სხდომის თავმჯდომარის დავით კახიანიშვილის მოსაზრებით, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ფარგლები აჭარბებს 25%-იან ცვლილებებს, საჭიროა სკოლას ჰქონდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობა. დაწესებულების დირექტორის მოსაზრებით, კერძო სკოლებს უფლება ჰქონდათ 25%-იანი ცვლილებებს ზემოთ განეხორციელებინათ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლა უახლოეს მომავალში მიმართავდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რათა მათ ჰქონოდათ უფლება მოსწავლეებისთვის შეეთავაზებინათ დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება 25%-იანი ცვლილებების გადაჭარბებით.

სხდომის თავმჯდომარის მოსაზრებით, 1.2 შენიშვნა არ იყო არსებითი ხასიათის, რადგან სკოლას 100 ქულიანი სისტემით დაწრილი შეფასება გადაჰყავდა 10 ქულიან სისტემაზე ყოველი სემესტრის ბოლოს, რაც წარმოედგინა იყო ჟურნალებთან ერთად თანდართული დოკუმენტის სახით. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარა ავტორიზაციის საბჭოს ყველა წევრმა.

სკოლის დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს წარუდგინა სსსმ მოსწავლეთათვის დამონტაჟებული ადაპტირებული სველი წერტილის ამსახველი ფოტომასალა.

უსაფრთხოების კამერებთან დაკავშირებით, დაწესებულების დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს წარუდგინა შპს - „ჯესკო ჯგუფთან“ 2011 წლის 20 თებერვალს დადებული ხელშეკრულება და დამონტაჟებული ვიდეოკამერის ამსახველი ფოტომასალა. ავტორიზაციის ექსპერტმა კახა ჟღენტმა დაადასტურა, რომ სკოლაში არსებული ვიდეომეთვალყურეობის სისტემა შეესაბამებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.

3.1 შენიშვნასთან დაკავშირებით, ავტორიზაციის საბჭოს წევრმა ანა კლდიაშვილმა აღნიშნა, რომ ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯის ერთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება არ ჰქონდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ემუშავა ცეკვის პედაგოგად. სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ ცეკვის მასწავლებელი ფეხმძიმობის გამო იყო შვებულებაში და შესაბამისად, ირმა მესხი იყო ცეკვის დროებითი მასწავლებელი.

3.2 შენიშვნასთან დაკავშირებით, დაწესებულების დირექტორმა განმარტა, რომ ინგლისური ენის მასწავლებელი, სოფიო ჯადუგიშვილი უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტს აიღებდა 2012 წლის მარტის თვეში. მანამდე კი აღნიშნული პედაგოგი გათავისუფლებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან და მისი სამუშაო საათები გადანაწილდა ინგლისური ენის სხვა პედაგოგებზე.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ როგორ ხდებოდა სკოლაში წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შპს - ქართულ-ინგლისურ სკოლა ბრიტანიკას სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება. აღნიშნული ინფორმაცია დაადასტურა ავტორიზაციის ექსპერტმა, კახა ჟღენტმა.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 242-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭილაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეემლო 242 მოსწავლისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ქართულ-ინგლისური სკოლა ბრიტანიკას ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 242-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ქართულ-ინგლისურ სკოლა ბრიტანიკას (საიდენტიფიკაციო კოდი: 200193673) 5წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 242-ით.

7. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 სკოლის მიერ შექმნილი ლაბორატორიული აღჭურვილობა ნაწილობრივ (დაახლოებით 64%) შეესაბამება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 9 აგვისტოს №572 ბრძანებით დადგენილ რეკომენდაციებში მოცემულ ჩამონათვალს, თუმცა სკოლას გააჩნია ისეთი აღჭურვილობა და მოწყობილობაც, რაც რეკომენდაციებში არ არის, სკოლა გეგმავს ლაბორატორიის შევსებას.

1.2 ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰქონდა მოწყობილი მეორე სართულზე ასასვლელი პანდუსი და სსსმ მოსწავლეზე ადაპტირებული სველი წერტილები.

1.3 სკოლის შენობა ფაქტიურად წარმოადგენს ოთხი ორსართულიანი შენობის კომპლექსს, რომელთაც გააჩნიათ დამოუკიდებელი შესასვლელები. ყოველ შენობას პირველ სართულზე აქვს საკლასო ოთახები, რომლებსაც ასევე დამოუკიდებელი შესასვლელები აქვს, ამ რთული კონფიგურაციის გამო დასადგენია კამერების ოპტიმალური ოდენობა და დამონტაჟების ადგილები, რათა სასკოლო გარემოს მაქსიმალურად დიდი ფართობი იყოს მოქცეული კონტროლის ზონაში, ამ მიზნით სკოლის დირექტორი იღებს კონსულტაციებს, რაც ვიზიტის პერიოდში დამთავრებული არ იყო. სკოლას დაწყებული აქვს სკოლის უსაფრთხოების კამერებით აღჭურვის პროცესი, შექმნილი აქვთ ერთი გარე პერიმეტრის კამერა რომელიც აკონტროლებს სკოლის ეზოში მოსწავლეთა შემოსასვლელს, აღნიშნული კამერა არ აკმაყოფილებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრული ვიდეომეთვალყურეობის სისტემების ტექნიკური პარამეტრებს, მისი გამოყენება სკოლას განზრახული აქვს შიდა კონტროლისთვის.

2. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

2.1 ლეილა ხიზანიშვილის შრომის პედაგოგობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ არსებობს მის პირად საქმეში, რადგან პედაგოგი არის სამაჩაბლოდან დევნილი და როგორც გასაუბრებიდან გაირკვა, საბუთები ვერ გამოიტანა. თუმცა ის არის ფილოლოგი, გავლილი აქვს მასწავლებელთა გადამზადების კურსები, ასევე გადამზადებულია რელიგიის ისტორიაში (ამ უკანასკნელების დამადასტურებელი დიპლომი და სერტიფიკატები დევს მის პირად საქმეში). გასაუბრებით გაირკვა, რომ პედაგოგს 1978 წელს დამთავრებული აქვს სამხრეთ ოსეთის სამოდელო ტექნიკუმი, ქალისა და ბავშვის ტანსაცმლის მკერავ-მოდელიორი.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლაში არსებული ლაბორატორიული აღჭურვილობა 64%-ით შეესაბამებოდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 9 აგვისტოს №572 ბრძანებით დადგენილ რეკომენდაციებში მოცემულ ჩამონათვალს. ამ ეტაპზე, შესაბამისობა 87%-ს აღწევს, ამასთან დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ თავდაპირველად სკოლას ლაბორატორია გადაეცა საქართველოს საპატრიარქოსაგან, ვინაიდან ლაბორატორია არასრული სახით იყო წარმოდგენილი, სკოლამ მისი შევსების მიზნით მიმართა შპს - ინსტა ჯორჯიას, რომელმაც უარი განაცხადა ლაბორატორიული აღჭურვილობის (208 დასახელება) მხოლოდ გარკვეული ნაწილის გასხვისებაზე. აქედან გამომდინარე დაწესებულებამ მიმართა ფიზიკურ პირს, რომელმაც მისი სახელით შეიძინა საჭირო აღჭურვილობა, ასევე არსებობს ჩუქების ხელშეკრულებაც, რომლის გათვალისწინებით უახლოეს პერიოდში სკოლის საკუთრებაში არსებული ლაბორატორიული აღჭურვილობის შესაბამისობა სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან მიაღწევს 92%-ს.

ცენტრის წარმომადგენელმა, პეტრე წურწუმიამ, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, რა პერიოდში აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს შპს - ინსტა ჯორჯიასთან. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით მათ შპს - ინსტა ჯორჯიას მიმართეს, როგორც ზაფხულის პერიოდში, ისე დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტის დროს.

რაც შეეხება 1.2 შენიშვნას, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დირექტორის ბრძანებით სამეურნეო სამსახურის უფროსს მუშასთან ერთად დაევალა ადაპტირებული გარემოს შექმნა, ზეპირ მოსმენაზე მოხდა სასაქონლო ზედნადებისა და ფოტომასალის წარმოდგენა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, ჰყავდა თუ არა სკოლას ამ ეტაპზე სსსმ მოსწავლე. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლას ამ ეტაპზე სსსმ მოსწავლე არ ჰყავს.

1.3 შენიშვნასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს - ჯესკო ჯგუფთან და სრულად აქვს გადახდილი საფასური.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის სხვა საშუალებებთან დაკავშირებით. წარმომადგენელმა განმარტა, რომ ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლაში წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით არსებობს ზედამხედველობის სამსახური, ასევე პედაგოგთა მორიგეობა და დაცვის სამსახური.

2.1 შენიშვნასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პედაგოგი არ ფლობდა ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ დაკარგული დოკუმენტის აღდგენა შესაძლებელი იყო სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისათვის მიმართვის გზით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, რამდენი მოსწავლე ირიცხებოდა ამ ეტაპზე სკოლაში. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სკოლას ჰყავდა 600-მდე მოსწავლე.

სხდომის თავმჯდომარის თქმით გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მატერიალურ რესურსთან მიმართებით ყველა შენიშვნა სრულად ან უდიდესი ნაწილით გამოსწორებულია.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 660-ით განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლის მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა, პეტრე წურწუმიამ, დაადასტურა, რომ ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლას შეეძლო 660 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 660-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 205195028) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 660-ით.

8. ა(ა)იპ - ორ ავანერ და ჰანას ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნა არ იყო დაფიქსირებული.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოდგენა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 120-ით განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ამჟამად, სკოლას რამდენი მოსწავლე ჰყავდა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სკოლაში ირიცხებოდა 74 მოსწავლე.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ სკოლა, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლა ფლობდა 92 მერხს, შესაბამისად, აღნიშნული რაოდენობების გათვალისწინებით, დაწესებულებას შეუძლია 92 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

ცენტრის დირექტორის პირველი მოადგილის, პეტრე წურწუმიას, განმარტებით, საბჭოს პრაქტიკიდან გამომდინარე, წარმოუდგენელია სხვა რაოდენობაზე გადაწყვეტილების მიღება, რადგან სკოლის მატერიალური რესურსი, ამ შემთხვევაში მერხების რაოდენობა, უზრუნველყოფს 92 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნას.

სხდომის თავმჯდომარემ განუმარტა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ სკოლას ნებისმიერ დროს შეუძლია მომართოს ცენტრს მოსწავლეთა კონტიგენტის გაზრდის მოთხოვნით.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან ა(ა)იპ - ორ ავანერ და ჰანას შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ორ ავანერ და ჰანას ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 92-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, (ა)იპ - ორ ავნერ და ჰანას (საიდენტიფიკაციო კოდი: 205195457) წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 92-ით.

9. შპს - დეას ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნა არ იყო დაფიქსირებული.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლას გააჩნია 242 ინდივიდუალური მერხი, შესაბამისად, მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 242-ით განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა, პეტრე წურწუმიამ, დაადასტურა, რომ შპს - დეას შეეძლო 242 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა შპს - დეას ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - დეას ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 242-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - დეას (საიდენტიფიკაციო კოდი: 200055992) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 242-ით.

10. შპს - ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის თბილისის იურიდიულ-ეკონომიკური ინსტიტუტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში ხარვეზი არ დაფიქსირდა. თუმცა აღსანიშნავი იყო, ის ფაქტობრივი გარემოება, რომ დაწესებულებას საავტორიზაციო განაცხადი შემოტანილი ჰქონდა დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამის განხირციელების მიზნით, თუმცა ავტორიზაციის მაძიებლის მიერ ცენტრში შემოვიდა წერილი, რომლის თანახმად დაწესებულებას სურს განახორციელოს მხოლოდ დაწყებითი და საბაზო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამები, ექსპერტთა დასკვნა ასევე შედგენილია მხოლოდ პირველი ორი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 140-ით განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა, პეტრე წურწუმიამ, მიმართა თხოვნით ექსპერტს დაეზუსტებინა დაწესებულების სარგებლობაში არსებული საერთო ფართი.

ექსპერტმა, ნინო ფეტვიაშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულების სარგებლობაში არსებული საერთო ფართი შეადგენდა 495,06 კვ.მ.-ს, ამასთან, დაწესებულებას გააჩნდა 143,56 კვ.მ.-ის მქონე სარდაფი, სადაც განთავსებული იყო სპორტდარბაზი. ექსპერტმა დამატებით აღნიშნა, რომ სპორტდარბაზი აკმაყოფილებდა დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო საჭიროებებს, თუმცა არ იყო შესაფერისი ისეთი სპორტული აქტივობებისათვის, როგორც არის მაგალითად - კალათბურთი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლას ჰყავდა 71 მოსწავლე, ხოლო დაწყებით საფეხურზე ყველაზე მაღალი იყო V კლასი.

ექსპერტის განმარტების შესაბამისად, ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ დაწესებულებას შეემლო 140 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა შპს - ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის თბილისის იურიდიულ-ეკონომიკური ინსტიტუტის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის თბილისის იურიდიულ-ეკონომიკური ინსტიტუტის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 140-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის თბილისის იურიდიულ-ეკონომიკურ ინსტიტუტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 208217865) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი და საბაზო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 140-ით.

11. შპს - საუნჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 სკოლამ წარმოადგინა 2011-2012 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებულია 2011 წლის 12 სექტემბერს. სკოლაში სასწავლო წელი დაიწყო 15 სექტემბერს. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით კი სასკოლო სასწავლო გეგმა უნდა დამტკიცდეს ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 სკოლას არა აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის, კერძოდ არ არის დამონტაჟებული ადაპტირებული სველი წერტილი.

2.2 სკოლას არ აქვს უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს. გაფორმებულია ხელშეკრულება ინდემწარმე "გიორგი ქვეხიშვილთან" და გადახდილია 2500 ლარი. ხელშეკრულება ითვალისწინებს სკოლისთვის ვიდეოკამერების დამონტაჟებას. სკოლას წესრიგის დაცვის მიზნით ჰყავს უსაფრთხო სკოლის მენეჯერი და დისციპლინარული საბჭოს თავმჯდომარე. სკოლას მანდატური არ ჰყავს.

2.3 დაწესებულებას შემუშავებული აქვს სკოლის მისიიდან გამომდინარე განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, სადაც არ არის მითითებული რა ვადებში და ვინ უნდა შეასრულოს კონკრეტული საქმიანობები.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

1.1 შენიშვნასთან და კავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლაში 2011 წლის სექტემბრის თვის პირველ ნახევარში მოხდა 3 პედაგოგის ცვლილება, რის გამოც პედაგოგიური საბჭოს სხდომა ჩატარდა არა 8, არამედ 12 სექტემბერს. სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ შპს - საუნჯეს 2011 წლის 8 სექტემბრისთვის შემუშავებული ჰქონდა სასკოლო სასწავლო გეგმა, თუმცა მისი დამტკიცება, ზემოთ აღნიშნული მიზეზის გამო მოხდა 4 დღის დაგვიანებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცემულ გარემოებას სკოლაში სრულყოფილი სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის არ შეუძლია ხელი.

სკოლის დირექტორმა გულჩინა ჭიკაძემ ავტორიზაციის საბჭოს წევრებს წარუდგინა სსსმ მოსწავლეთათვის დამონტაჟებული ადაპტირებული სველი წერტილის ამსახველი ფოტომასალა.

უსაფრთხოების კამერებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლაში უსაფრთხოების კამერები არ იყო დამონტაჟებული. გულჩინა ჭიკაძემ ავტორიზაციის საბჭოს წევრებს წარუდგინა სკოლაში დამონტაჟებული უსაფრთხოების ვიდეოკამერების ამსახველი ფოტომასალა.

დაწესებულების დირექტორის განმარტებით, სკოლაში უსაფრთხოებისა და წესრიგის უზრუნველსაყოფად შპს - საუნჯემ სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან 2012 წლის 13 თებერვალს გააფორმა ხელშეკრულება.

სკოლის დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს წარუდგინა ერთწლიანი და ექვსწლიანი სამოქმედო გეგმები, რომლებშიც მითითებული იყო, როგორც კონკრეტული ვადები, ასევე მათ შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები.

სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დაწესებულებაში ვიზიტის დროს, 21 მერხსა და 1 კომპიუტერზე ვერ მოხერხდა კანონიერი მფლობელობის დადასტურება. გულჩინა ჭიკაძემ ავტორიზაციის საბჭოს წევრებს წარუდგინა 21 სასკოლო ორადგილიანი მერხისა 1 კომპიუტერის თაბაზე დადებული ჩუქების ხელშეკრულებები.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 150-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭილაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 150 მოსწავლისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საუნჯის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - საუნჯეს (საიდენტიფიკაციო კოდი: 216325965) 5წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150-ით.

12. შპს - ჩირაღდნის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 სკოლის არჩევითი საგნები გამოყოფილია ძირითადი საგნებისგან. XI კლასში ისწავლება ეკონომიკა 2 საათი, ხოლო XII კლასში - გლობალური პრობლემების გეოგრაფია 2 საათი. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით კი XI კლასში უნდა ისწავლებოდეს 2 არჩევითი საგანი 2 ბლოკიდან.

1.2 სკოლის მიერ წარმოდგენილ კათედრების სამუშაო გეგმებში არ ჩანდა, თუ როგორ მოხდა შეფასების სისტემის შემუშავება. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ასევე არ ჩანს, როგორ ხდება შეფასების სისტემის გაცნობა სასკოლო საზოგადოებისათვის. დირექტორთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ყველა მასწავლებელი სასწავლო წლის დასაწყისში აცნობს მოსწავლეებს შეფასების სისტემას.

1.3 საკლასო ოთახების კედლებზე გამოკრული იყო ყველა საგნისა და კლასისათვის საერთო შეფასების სამივე კომპონენტები, დონეები და რუბრიკები. წარმოდგენილი მასალა ყველა საგანსა და კლასზე არ იყო მოდიფიცირებული, მორგებული და დაზუსტებული.

1.4 ვიზიტის დროს წარმოდგენილი იყო კითხვართა ფორმები, რომლებსაც დირექციის განმარტებით, გამოიყენებენ სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისათვის. აღნიშნულ კითხვართა შინაარსიდან გამომდინარე ვერ დგინდება სასკოლო სასწავლო გეგმის გაუმჯობესების მექანიზმები.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 სკოლას აქვს სპორტული დარბაზი, რომელსაც არა აქვს ცალკე შესასვლელი. სპორტულ დარბაზში მოხვედრა შესაძლებელია ბიბლიოთეკის გავლით, თუმცა შესაძლებელია დამოუკიდებელი კარის გაჭრა და რომლის გაკეთებაც იგეგმება სამოქმედო გეგმის მიხედვით.

2.2 სკოლამ 2011 წლის 24 ნოემბერს შეიძინა შპს - „სამაიასგან“ ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგია-ანატომიის სასკოლო ლაბორატორიების ინვენტარი. ბიოლოგიის ლაბორატორია წარმოდგენილია სრული კომპლექტის სახით, ქიმიის ლაბორატორია - დაახლოებით 50%-ით შეესაბამება სავალდებულო ჩამონათვალს, ხოლო ფიზიკის კაბინეტისთვის შეძენილია მხოლოდ ტელესკოპი. შესაბამისად, დაწესებულებაში არსებული ლაბორატორია არ შეესაბამება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის №572 ბრძანებით დამტკიცებულ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრებს“.

2.3 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის შენობის შესასვლელში დამონტაჟებულია პანდუსი. სსსმ მოსწავლის მიღება შესაძლებელია მხოლოდ შენობის პირველ სართულზე. შენობის მე-2 სართულზე განთავსებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების კაბინეტი.

2.4 წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად სკოლას მანდატური არ ჰყავს.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების დირექტორმა განმარტა, რომ სკოლაში არჩევით საგნად ასევე ისწავლებოდა თეატრალური ხელოვნება. აღნიშნულის დასადასტურებლად მან ავტორიზაციის საბჭოს წევრებს წარუდგინა თეატრალური ხელოვნების სასკოლო ჟურნალები.

სკოლის დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით შექმნილი თვითშეფასების კითხვარის ფორმები.

დაწესებულების წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა ფოტომასალა, რომლის მიხედვითაც კომპიუტერული კლასი განთავსებული იყო სკოლის პირველ სართულზე.

შპს - ჩირაღდნის დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს წარუდგინა 2012 წლის პირველ მარტს შპს - სამაიასთან გაფორმებული სასაქონლო ზედნადებები ფიზიკისა და ქიმიის ლაბორატორიული აღჭურვილობის შეძენის თაობაზე. დამატებით, დაწესებულების წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა 2012 წლის 28 თებერვალს ინდემწარმე ზვიად საჯაიასთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება ფიზიკის ლაბორატორიის აღჭურვილობის შეძენის თაობაზე.

დაწესებულების დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს წარუდგინა 2012 წლის პირველ მარტს სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან დადებული ხელშეკრულება.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 140-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭილაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 140 მოსწავლისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ჩირაღდნის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 140-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების” 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა” ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ჩირაღდანს (საიდენტიფიკაციო კოდი: 220340183) 5წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 140-ით.

13. შპს - ილია 2-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილი, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 დაწესებულება განთავსებულია საგარეჯოში, სადაც გ. ლეონიძის ქ. №33ა-ში მდებარე შენობიდან იგი იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობს 180 კვ.მ. ფართს - შენობის II სართულზე მდებარე რამოდენიმე საკლასო ოთახს და ბიბლიოთეკის ფართობის ნახევარს. სკოლას ასევე აქვს 240კვ.მ. ფართის ღია სპორტული მოედანი.

1.2 დაწესებულებაში სველი წერტილები განთავსებულია პირველ სართულზე (კოლეჯის ფართზე), ამავე სველი წერტილებით სარგებლობს ასევე შენობაში განთავსებული კოლეჯი. სკოლაში არ არის ადაპტირებული სველი წერტილი სსსმ მოსწავლისათვის. აქვე აღსანიშნავია, რომ კოლეჯის სახელზე წარმოდგენი ელექტროენერჯის გადახდის ქვითრებიდან ვერ მოხერხდა სკოლის მიერ გადახდილი თანხის გამიჯვნა.

1.3 2011 წლის 12 დეკემბერს სკოლამ შპს “სამაიასაგან“ შეიძინა ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტ-ლაბორატორიისათვის საჭირო ინვენტარი, ხოლო ფიზიკის ლაბორატორიისათვის საჭირო ინვენტარი ნაყიდა სკოლის მიერ ნაღდი ანგარიშსწორებით. სკოლის საკუთრებაში არსებული ლაბორატორიის აღჭურვილობა (უხეში დათვლით, მაქსიმუმ 121 დასახელება) არ შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნას 208 დასახელების ლაბორატორიული აღჭურვილობის არსებობის თაობაზე.

1.4 დაწესებულებას ჰყავს შტატით გათვალისწინებული ექთანი და აქვს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ოთახი შესაბამისი ინვენტარით, რომელთა საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია სკოლამ ვერ წარმოადგინა. დაწესებულებაში წესრიგის დაცვას ახორციელებს ადმინისტრატორი, სკოლას არ ჰყავს მანდატური;

1.5 სკოლას გააჩნია 4 უსაფრთხოების კამერა, რომელთაგან 1 სკოლას გადაეცა ჩუქების ხელშეკრულებით, ხოლო 3 შეძენილია შპს „გლობალ ელექტრონიკისაგან“ შპს „ილიას“ მიერ. სკოლის დირექტორის განმარტებით, ეს კამერები შპს „ილიამ“ საჩუქრად გადასცა შპს „ილია-2-ს“, თუმცა დამადასტურებელი დოკუმენტაცია სკოლამ ვერ წარმოადგინა, ასევე ვერ დადგინდა უსაფრთხოების კამერების შესაბამისობას სტანდარტით დადგენილ ტექნიკურ მახასიათებლებთან.

2. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

2.1 ხელოვნების პედაგოგს, ეკა კოჭლამაზაშვილს, დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2011 წელს მას მიენიჭა დიპლომირებული სპეციალისტის

კვალიფიკაცია ტანსაცმლისა და დეკორატიული ქსოვილების დიზაინის სპეციალობით (არ აქვს პედაგოგის კვალიფიკაცია).

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, რატომ ფლობდა იგი ბიბლიოთეკის ფართობის ნახევარს. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ვინაიდან ერთ შენობაში იყო სკოლაც და კოლეჯიც, ბიბლიოთეკა იყო გადატიხრული, შესაბამისად ნაწილი ეთმობოდა სასკოლო წიგნებს, ხოლო მეორე ნაწილი - კოლეჯის წიგნად ფონდს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, იყო თუ არა ერთიდაიგივე პირის ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თავდაპირველად დაწესებულებას გააჩნდა ორი ლიცენზია, როგორც ზოგადი, ისე პროფესიულ საგანმანათლებლო საქმიანობაზე. ამ ეტაპზე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ძველი იურიდიული პირის სახელით ფუნქციონირება განაგრძოს პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ. შესაბამისად, სკოლამ განახორციელა მოსწავლეთა მობილობა და ამ ეტაპზე მას არ ჰყავს მოსწავლეები. ამასთან, დაარსდა ახალი იურიდიული პირი - შპს - ილია 2-ის სახით, რომელსაც აქვს სურვილი მოიპოვოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ მიუხედავად არსებული ვითარებისა, სახეზეა ორი სხვადასხვა იურიდიული პირი, რომელმაც დამოუკიდებლად უნდა განახორციელოს საგანმანათლებლო საქმიანობა და თითოეული მათგანი სრულად უნდა აკმაყოფილებდეს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს მატერიალურ რესურსთან მიმართებით, შესაბამისად, დაუშვებელია, რომ არ იყოს გამიჯნული ელექტროენერჯია და ორივე დაწესებულება სარგებლობდეს საერთო სველი წერტილით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლასა და კოლეჯს შორის გაფორმდა შეთანხმება ელექტროენერჯიის გამიჯვნის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენელს 1.3 შენიშვნასთან დაკავშირებით მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სკოლა გეგმავდა მხოლოდ საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას და გააჩნდა მე-10, მე-11 და მე-12 კლასებისათვის საჭირო ლაბორატორიული აღჭურვილობა. ამასთან, ექსპერტთა დასკვნაში მოცემული საკითხი არ იყო ხარვეზის სახით დაფიქსირებული.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლის შეფასება ვერ იქნებოდა გაზიარებული, ვინაიდან, კანონმდებლობა არ იცნობდა ზემოაღნიშნულ გამიჯვნას - კლასების მიხედვით საჭირო ლაბორატორიული აღჭურვილობის ჩამონათვალის შესახებ, ამასთან, სკოლის მიერ ავტორიზაციის სტანდარტით განსაზღვრული მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი იყო 208 დასახელების ლაბორატორიული აღჭურვილობის არსებობა.

მომხსენებელმა დამატებით განმარტა, რომ 1.3 შენიშვნა ეფუძნებოდა სწორედ ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებულ ინფორმაციას, მათ შორის დანართების სახით ექსპერტთა მიერ წამოღებულ დოკუმენტაციას, რომელიც თავად დაწესებულების მიერ იყო დამოწმებული და ექსპერტის განმარტებას.

სხდომის თავმჯდომარემ სთოვა დაწესებულების წარმომადგენელს საკუთარი პოზიციის დაფიქსირება 1.4 შენიშვნასთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლაში წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს დაცვის სამსახური, ასევე არსებობს მასწავლებელთა მორიგეობა. სხდომის თავმჯდომარემ განუმარტა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ საბჭოს პრაქტიკიდან და უსაფრთხო სკოლის კონცეფციიდან გამომდინარე არსებული რესურსი არ იყო საკმარისი სკოლაში

უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვისათვის. დაცვის სამსახურით შეუძლებელია მანდატურის სამსახურის ჩანაცვლება, ვინაიდან ამ უკანასკნელის ცოდნა და უნარ-ჩვევები უშუალოდ მორგებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სპეციფიკასთან.

რაც შეეხება 1.5 შენიშვნას, დაწესებულების წარმომადგენელმა ზეპირ მოსმენაზე წარმოადგინა კამერის სერტიფიკატი, რომლის მიხედვითაც ვერ დადგინდა უსაფრთხოების კამერების შესაბამისობა სტანდარტით დადგენილ ტექნიკურ მახასიათებლებთან.

ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე 22 საათსა და 29 წუთზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

ავტორიზაციის საბჭოს სხდომა განახლდა 22 საათსა და 48 წუთზე.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს განუმარტა, რომ საბჭომ იმსჯელა თითოეულ შენიშვნასთან დაკავშირებით და მათ შორის იმ დოკუმენტაციის გათვალისწინებით, რომლის წარმოდგენაც მოხდა დაწესებულების მიერ ზეპირ მოსმენაზე, ვერ დადასტურდა ვერც ერთი ხარვეზის გამოსწორების ფაქტი.

საბჭომ იმსჯელა შპს - ილია 2-ის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ მატერიალური რესურსის სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ილია 2-ის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ილია-2-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 438107861) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

14. შპს - რუსთველის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანძემ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნაზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 ექსპერტთა ვიზიტის დროს, სკოლას არ ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

სკოლის დირექტორმა წარმოადგინა ხელშეკრულება სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან, რომლის თანახმადაც, 2012 წლის 2 მარტიდან სკოლაში მანდატურის სამსახური იწყებდა საქმიანობას.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოდგენა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 526-ით განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეზუსტებინა სკოლაში მერხების ოდენობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სკოლაში, ექსპერტთა ვიზიტის დროს, სრულად არ იყო წარმოდგენილი მერხები. ამჟამად, სკოლაში არის 300 ინდივიდუალური მერხი და 126 ორადგილიანი მერხი.

სკოლის დირექტორმა წარმოადგინა დოკუმენტი დამატებით მერხების შესყიდვის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ სკოლა, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული რაოდენობის მერხების გათვალისწინებით, დაწესებულებას შეუძლია 526 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს - რუსთველის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - რუსთველის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 526-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - რუსთველს (საიდენტიფიკაციო კოდი: 216392179) 5წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 526-ით.

15. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანძემ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 ს კოლას გააჩნია საბუნებისმეტყველო საგნების შესწავლისათვის საჭირო ლაბორატორიული მოწყობილობები, რომელიც შეადგენს 148 სახეობის 344 ერთეულს, მაგრამ ეს სია დადგენილი ჩამონათვლის მხოლოდ 50 %-ს ემთხვევა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, საბჭოს წარუდგინა ლაბორატორიის შესყიდვის შესახებ დოკუმენტაცია.

ექსპერტის, ლიანა ჩარკვიანის, განცხადებით, ვიზიტის დროს არსებული ლაბორატორია დადგენილ რეკომენდაციებს მხოლოდ 50%-ით შეესაბამებოდა, თუმცა მან შეისწავლა საბჭოზე წარმოდგენილი დოკუმენტი და აღნიშნული აღჭურვილობა შესაბამისობაშია დადგენილ 208 ერთეულთან.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოდგენა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 225-ით განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ სკოლა, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლას შეუძლია 225 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 225-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 235449813) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 225-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შედეგად სხდომა დახურულად გამოცხადდა 23:00 საათზე.

დავით კახიაშვილი
თავმჯდომარე



ანა კლდიაშვილი
მდივანი

